



**არჩევნების შემდგომ პერიოდში
რელიგიის თავისუფლების,
თანასწორობის და სეკულარობის
კუთხით არსებული გარემო**

2024 წლის 26 ნოემბერი - 26 დეკემბერი



არჩევნების შემდგომ პერიოდში
რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და
სეკულარობის
კუთხით არსებული გარემო

2024 წლის 26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე პერიოდი

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)
www.tdi.ge



ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს **2024 წლის 26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე** პერიოდს.

(ასევე შეგიძლიათ, იხილოთ [25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე](#), [25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე](#) წინასაარჩევნო და [26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე](#) არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის ანგარიშები.)

ანგარიში მოამზადა ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI), USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNA Georgia) მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის TDI-ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ფოტო გარეკანზე: გურამ მურადოვი



სარჩევი

ძირითადი მიგნებები.....	4
„ქართული ოცნებისა“ და მისი სატელიტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიითა და იდენტობით მანიპულირება	9
საპატრიარქოს პროპაგანდა საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით	15
რელიგიით მანიპულაცია და სიცრუის ტირაჟირება	19
მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები	23
არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციების, სასულიერო პირებისა და ეთნიკური ჯგუფების განცხადებები აქციებთან დაკავშირებით.....	26

ძირითადი მიგნებები

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო მასშტაბური გაყალბების შემდეგ, საქართველოს არალეგიტიმურმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, 28 ნოემბერს [ბრიფინგზე](#) განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნაზე, რასაც საზოგადოების მხრიდან მყისიერი პროტესტი და უწყვეტი, ყოველდღიური დემონსტრაციები მოჰყვა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. „ქართულმა ოცნებამ“ არაერთხელ სცადა მშვიდობიანი საპროტესტო აქციების [ძალადობრივი და უკანონო](#) მეთოდებით ჩახშობა. 26 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავებულია მშვიდობიანი პროტესტის მონაწილე [500-ზე მეტი](#) პირი. დაკავებულ პირთაგან [300-ზე მეტი](#) ნაცემი/წამების და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლია. სასამართლომ ადმინისტრაციული წესით დაკავებული ყველა პირი სამართალდამრღვევად ცნო და მათ წინააღმდეგ მძიმე სანქციები გამოიყენა. ამავდროულად, საპოლიციო ძალების არცერთი წარმომადგენელი არ [დასჯილა](#). ამ დროის განმავლობაში, უწყვეტი დემონსტრაციები გასცდა ევროინტეგრაციისა და ხელახალი არჩევნების მოთხოვნის მიზნებს და თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის ფართომასშტაბიან სამოქალაქო მოძრაობაში გადაიზარდა.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე მონიტორინგი აჩვენებს, რომ „ქართული ოცნების“ ანტიევროპული და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო პროპაგანდა დიდწილად რელიგიური ნარატივების მანიპულაციას ეყრდნობა. „ქართული ოცნების“ ლიდერები აქტიურად ცდილობენ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დისკრედიტაციას, აგრძელებენ ანტიდასავლურ პროპაგანდას, განსაკუთრებით, ქრისტიანობის კონტექსტში, და საკუთარი ლეგიტიმაციისთვის იყენებენ საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერას.

ფასეულობების აღრევის შემოსატანად, „ქართული ოცნება“ და მათი სატელიტები მიმართავენ სხვადასხვა მანიპულაციურ ტექნიკას, მათ შორის, წინსწრებით „იკავებენ“ იმ ცნებებს, რომლებიც ოპონენტებმა შეიძლება მათი მისამართით გამოიყენონ (მაგალითად, ფაშიზმი), და ამ ცნებებს უკავშირებენ მათთვის არასასურველ იდეოლოგიას (ლიბერალიზმი).

არალეგიტიმური ხელისუფლების პროპაგანდას აძლიერებენ საპატრიარქო, მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი და პროპაგანდისტული სახელისუფლებო მედია. საანგარიშო პერიოდში ყველაზე თვალსაჩინო იყო მათ მიერ ერთობლივად მართული და წარმოებული სიცრუის კამპანიები, რომლითაც მშვიდობიანი, პროევროპული დემონსტრაციები „წითელ ტერორად“, ხოლო დემონსტრანტები მართლმადიდებელ ეკლესიასთან მეზრძოლ „ბოლშევიკებად“ გამოაცხადეს. ყველა ამ ნარატივს აერთიანებს

ანტიდასავლური კონტექსტი, სადაც ევროპა ქრისტიანობის, სულიერებისა და ეროვნული ღირებულებების ანტითეზად მოიაზრება.

დემონსტრაციებთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვნად გამოჩნდა საქართველოს საპატრიარქოს დამოკიდებულება: აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, საპატრიარქოსა და მის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს არცერთხელ არ გამოუთქვამთ მკაფიო მხარდაჭერა სამართალდამცავების მიერ ნაცემი და ნაწამები ადამიანების მიმართ და მხოლოდ ძალადობის დამგმობი ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებოდნენ. ეს განცხადებები აჩვენებდა არალეგიტიმური ხელისუფლებისადმი ლოიალობას და ქმნიდა ყალბ წარმოდგენას საზოგადოების შიდა დაპირისპირებისა და „ორმხრივი ძალადობის“ შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროტესტო აქციების პერიოდში, მართლმადიდებელი ეკლესიის პოპულისტურ-პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოყენების პარალელურად, არალეგიტიმურმა ხელისუფლებამ გააგრძელა საპატრიარქოსთვის სახელმწიფო ქონების გადაცემა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საპატრიარქოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად საკუთრებაში გადასცა [დაბა მანგლისში, ქუთაისში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოღაში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში](#) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ჯამში, 19,023 კვ.მ) და შენობა-ნაგებობები. [ხოზის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში](#), მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 3,877 კვ.მ კი 99 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცა.

ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას ფინანსური დახმარების სახით 140.000 (ას ორმოცი ათასი) ლარი გადასცა.¹

¹ მიმდინარე წელს, წინასაარჩევნო პერიოდში, სექტემბერ-ოქტომბერში, მთავრობამ მართლმადიდებელ ეკლესიას 11,062 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და შენობა-ნაგებობები საკუთრების, ხოლო 217,008 კვ.მ სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მიწები 99 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცა. არჩევნების შემდგომ პერიოდში, ნოემბერ-დეკემბერში მთავრობამ მართლმადიდებელ ეკლესიას 29,341 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და შენობა-ნაგებობები საკუთრების, ხოლო 28,451 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწები 15 წლის ვადით და 3,877კვ.მ მიწა 99 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცა.

იდენტობასა და რელიგიასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ და მისი სატელიტი პარტიის, „ხალხის ძალის“ ძირითადი პროპაგანდისტული გზავნილები და ნარატივები:

ღია ანტიევროპული გზავნილები:

- ევროკავშირი ფინანსურ დახმარებას „ქართული ოცნების“ შანტაჟისთვის იყენებს;
- დასავლეთი უღმერთოა;
- ბავშვების [იგულისხმება აქციებში მონაწილე ახალგაზრდები] პოლიტიზება ფინანსდება დასავლეთიდან, სადაც ებრძვიან რწმენასა და ოჯახურ ფასეულობებს;
- რადიკალი ევროპელი პოლიტიკოსები თელავენ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს.

ეროვნული ინტერესებითა და „სახალხო ლეგიტიმაციით“ მანიპულირება:

- „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ კანონი [ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შემზღუდავი კანონმდებლობა] ასახავს ქართულ ეროვნულ ინტერესებს და მას მართლმადიდებელი ეკლესია და საზოგადოების უმრავლესობა უჭერს მხარს.

იდენტობით მანიპულაცია ლიბერალების დისკრედიტაციის მიზნით:

- „ქართული ოცნების“ ოპონენტები „ლიბერალური ფაშიზმის“ იდეოლოგიის მიმდევრები არიან - ისინი ებრძვიან ეკლესიას.

არასამთავრობო ორგანიზაციების დემონიზაციის მიზნით, პატრიარქითა და სარწმუნოებით მანიპულაცია:

- არასამთავრობო ორგანიზაციები, უცხო სახელმწიფოების დახმარებით, აფინანსებენ რადიკალიზმს, ექსტრემიზმს, უტყვენ ეკლესიას, პატრიარქს, სარწმუნოებასა და ტრადიციებს.

პრეზიდენტის დისკრედიტაცია ანტიდასავლურ კონტექსტში:

- პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი შეურაცხყოფს ეკლესიას და იგი მართულია უცხო ძალების მიერ.

პროვერობული აქციების დისკრედიტაცია რელიგიურ კონტექსტში:

- დემონსტრანტი ახალგაზრდების მიზანი არა ევროპული კურსის დაცვა, არამედ სარწმუნოების შეურაცხყოფაა;
- „წითელ ტერორთან“ პარალელები: დემონსტრანტები არიან თანამედროვე ბოლშევიკები, რომლებიც არბევენ ეკლესიას.

საპატრიარქოსა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის გზავნილები:

საპატრიარქოსა და საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის გზავნილები პროვერობულ აქციებზე ძალადობასთან დაკავშირებით:

საქართველოს საპატრიარქომ და საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა არაერთი განცხადება გაავრცელეს, რომლებშიც არცერთხელ მკაფიოდ არ დაუგმიათ სამართალდამცავების მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების ცემა და არაადამიანური მოპყრობა. 13 დეკემბერს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ განზოგადებით დაგმო ყველა ადამიანის წინააღმდეგ ძალადობა, მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და ხსენების გარეშე. პატრიარქმა აღნიშნა, რომ „ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული ტიპის ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებას“.

პროვერობული დემონსტრაციების დისკრედიტაცია ანტიდასავლურ კონტექსტში:

საპატრიარქოსა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის ანტიდასავლური გზავნილები *მცდარი დილემის* ტექნიკას შეიცავს და ადამიანებს იდენტობის შენარჩუნებასა და ევროპას შორის არჩევანის წინაშე აყენებს.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა გზავნილების შემდეგი თემატური კატეგორიები:

- დასავლეთი დაუძინებელი „მეგობარია“ [მტრის კონოტაციით];
- პროტესტი დასავლეთის მიერ მართული ანტიქრისტიანული ამბოხია.

დემონსტრანტების წარმოჩენა ღვთის მგმობლებად:

მშვიდობიან პროტესტზე ერთ-ერთი პერფორმანსის გამო, სადაც სინამდვილეში, დემონსტრანტებმა ბიძინა ივანიშვილის ფიტული და კუბო დაწვეს, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილმა რელიგიური შინაარსის მანიპულაციით, დემონსტრანტები ღვთის მგმობლებად წარმოაჩინეს.

დემონსტრანტების გაიგივება ბოლშევიკებთან, რომლებიც არბევენ ეკლესიას:

საპატრიარქომ და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილმა („ქართულ ოცნებასა“ და პროპაგანდისტულ მედიასთან ერთად) გაზვიადება/სიცრუის ტირაჟირების კამპანიაში დემონსტრანტები ბოლშევიკებს შეადარეს.

სხვა მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა განცხადებები

მნიშვნელოვანია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილმა გაავრცელა კრიტიკული განცხადებები „ქართული ოცნების“ ანტიევროპულ კურსზე, დაგმო ძალადობა და რეპრესიები მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ და მათდამი მხარდაჭერა გამოხატა.

ასევე, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრებმა დაგმეს დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობა და ყურადღება გაამახვილეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ევროინტეგრაციის კურსის მნიშვნელობაზე. სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირებმა და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმა 7 და 25 დეკემბერს დემონსტრანტებზე ძალადობის წინააღმდეგ და ნაწამები ადამიანების მხარდასაჭერად მსვლელობა გამართეს და არაერთი განცხადება გაავრცელეს.

„ქართული ოცნების“ და მისი სატელიტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიითა და იდენტობით მანიპულირება

არალეგიტიმური ხელისუფლება და საპარლამენტო უმრავლესობა ცდილობს 28 ნოემბერს დაწყებული თვითორგანიზებული მშვიდობიანი დემონსტრაციები წარმოაჩინოს „გარედან მართულ“ მოძრაობად, ხოლო აქციის მონაწილეები „თანამედროვე ბოლშევიკებად“, რომლებიც ებრძვიან მართლმადიდებელ ეკლესიასა და სარწმუნოებას; ასევე აგრძელებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პრეზიდენტის დისკრედიტაციას ანტიდასავლურ კონტექსტში. ევროკავშირი ნაჩვენებია ძალად, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აშანტაჟებს, ხოლო „რადიკალი ევროპელი პოლიტიკოსები“ ებრძვიან ეროვნულ იდენტობას, ოჯახურ ფასეულობებსა და რწმენას. ამის საპირწონედ, მათ ნარატივში, „ქართული ოცნება“ არის პარტია, რომელიც სარგებლობს „სახალხო ლეგიტიმაციითა“ და საპატრიარქოს მხარდაჭერით.

პროპაგანდისტვის, „ქართული ოცნება“ და მათი სატელიტები მიმართავენ სხვადასხვა მანიპულაციურ გზას, მათ შორის, „საწინააღმდეგოდ შებრუნების“ ტექნიკას. მაგალითად, წინსწრებით „იკავებენ“ იმ ცნებებს, რომლებიც ოპონენტებმა შეიძლება მათი მისამართით გამოიყენონ (*ფაშიზმი, საბჭოთა ტაქტიკა და რეპრესიები*), და ამ ცნებებს ფასეულობების აღრევის შემოსატანად, უკავშირებენ მათთვის არასასურველ იდეოლოგიას (*ლიბერალიზმი*). მაგალითად, არალეგიტიმურმა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა დემონსტრანტების „რადიკალიზმი“ საბჭოთა რეჟიმს შეადარა, რომელმაც აწამა პატრიარქი ამბროსი ხელაია.

„ქართული ოცნების“ და მათთან აფილირებული პოლიტიკური სუბიექტების შემდეგი ძირითადი გზავნილები და თემატური ნარატივები გამოიკვეთა:

ღია ანტიდასავლური გზავნილები:

- ევროკავშირი ფინანსურ დახმარებას „ქართული ოცნების“ შანტაჟისტვის იყენებს

ირაკლი კობახიძე, საქართველოს არალეგიტიმური პრემიერ-მინისტრი, 28 ნოემბერი: „ჩვენ ვართ ამაყი და თავმოყვარე ერი დიდი ისტორიით. შესაბამისად, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, ევროკავშირში ინტეგრაცია განვიხილოთ როგორც მოწყალეობა, რომელიც ევროკავშირმა ჩვენთვის უნდა გაიღოს... ვხედავთ, რომ ევროპელი პოლიტიკოსები და ბიუროკრატები გამოყოფილ გრანტებსა და სესხებს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟისტვის იყენებენ...“

- დასავლეთი უღმერთოა, ხოლო საქართველოში ეკლესია ვერ წაიბილწება

თამარ ჩიბურდანიძე, პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 10 დეკემბერი: „პეჩორის ლავრაში წმინდანების ხატების ნაცვლად საკუთარი ფოტოები დაკიდეს. რუსთაველზე, შობის მარხვაში ლოცვის ნაცვლად, მაცხოვრის ხატი დაწვეს! რისხვა, რომელიც უკრაინელებს თავს დაატყდათ, ქართველებმა უნდა ავირიდოთ! უღმერთობამ გადაუარა და გადათელა ყველაფერი ღირებული დასავლეთში, მაგრამ ყველა დაცემას აღდგომა მოსდევს! საქართველო უფლისაა და აქ უკრაინა ვერ განმეორდება, ვერც ეკლესია წაიბილწება. ამ განსაცდელს რწმენით და გონებით გადავიტანთ!“

- ბავშვების პოლიტიზება ფინანსდება დასავლეთიდან, სადაც ებრძვიან რწმენასა და ოჯახურ ფასეულობებს

დიმიტრი ხუნდაძე, არალეგიტიმური საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 3 დეკემბერი: „ქართველობის ნგრევას სკოლებშიც შეუდგნენ. ყველამ უნდა იცოდეს ეს იქნება აქტივისტი, დირექტორი, მასწავლებელი, მშობელი თუ მათი წამქეზებელი, რომ ბავშვების პოლიტიზება და ამ პროცესებში მათი ფარად გამოყენება ეს არის პოლიტიკური პედოფილია და მომავალი თაობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაული. ეს პროცესები სწორედ იქიდან იღებს სათავეს და დაფინანსებას, საიდანაც ებრძვიან ღირსებას, რწმენას, ოჯახურ ფასეულობებს, თაობათაშორის აქამდე მოტანილ ტრადიციებს.“

- რადიკალი ევროპელი პოლიტიკოსები თელავენ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს

ხშირად გვხვდება „ქართული ოცნებისა“ და საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ცალკეულ დასავლელ პოლიტიკოსებზე ინდივიდუალური თავდასხმები, რაც მათი მხრიდან „ქართული ოცნების“ კრიტიკას უკავშირდება. საანგარიშო და წინა პერიოდშიც, ერთ-ერთი სამიზნე ამ მხრივ, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაელ როთი იყო, რომელსაც მართლმადიდებლობასთან მეზობლად წარმოაჩენდნენ და როთის პირად ცხოვრებას დისკრედიტაციის კამპანიისთვის იყენებდნენ. (იხ. [სავალან მირზოევი](#), არალეგიტიმური საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 14 დეკემბერი)

ალექსანდრე და ესლაქიშვილი, არალეგიტიმური საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 30 ნოემბერი: „რადიკალ ევროპელ პოლიტიკოსთა ჯგუფი ქართული ღირებულებების გათელვით ცდილობენ გაგვხადონ ინსტრუმენტები დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებაში, სადაც პატარა ქვეყნების ინტერესი მეორეხარისხოვანია“

ეროვნული ინტერესებითა და “სახალხო ლეგიტიმაციით” მანიპულირება:

- „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ [ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შემზღვევად] კანონმდებლობა ასახავს ქართულ ეროვნულ ინტერესებს და მას მართლმადიდებელი ეკლესია და საზოგადოების უმრავლესობა უჭერს მხარს

მამუკა მდინარაძე, არალეგიტიმური საპარლამენტო უმრავლესობის, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, 28 ნოემბერი: „...ქართველმა ხალხმა, რეფერენდუმის დროს, მხარი დაუჭირა იმას, რომ ეს არის არა რუსული, არამედ ქართული ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე კანონი, დიახ, ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონი არის ქართული, ეროვნული და არა მხოლოდ „ქართული ოცნება“, არა მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესია, არამედ, მთლიანად, ქართველი ხალხი და საზოგადოების უდიდესი და მყარი უმრავლესობა უჭერს მხარს.“

იდენტობით მანიპულაცია ლიბერალების დისკრედიტაციის მიზნით:

- „ლიბერალური ფაშიზმი“ ებრძვის ეკლესიას

ირაკლი კობახიძე, არალეგიტიმური პრემიერ-მინისტრი, 14 დეკემბერი: „იგივე ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ უღმერთობაც არის მათი ხელწერა და ეს არის ლიბერალური ფაშიზმის სახე. არიან ადამიანები, რომლებიც ჩაითრიეს ლიბერალურ ფაშიზმში და ეს არის ტრაგიკული მოვლენა.“

სოზარ სუბარო, პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე, 13 დეკემბერი: „რეალურად, ეკლესიასთან ბრძოლა ლიბერალიზმის საფუძველში იდო და სავსებით ლოგიკურია, რომ ქართველი ლიბერალ-ფაშისტები აუცილებლად მივიდოდნენ იმ წერტილამდე, როცა მათ ღია ბრძოლა გამოუცხადეს ეკლესიას.“

გიორგი კახიანი, არალეგიტიმური პარლამენტის წევრი, 13 დეკემბერი: „ლიბერალურ ფაშიზმს როგორც ჩანს, ფსკერი არ აქვს და ყოველ დღეს შეიძლება უფრო უარეს და უარეს ველოდოთ. [...] მათ რომ ახლა ძალაუფლება ჰქონდეთ და ხელისუფლებაში იყვნენ, ხომ წარმოგიდგენიათ მაშინ რა მოხდებოდა, როგორი დამოკიდებულება იქნებოდა ეკლესიასთან მიმართებაში, განსხვავებულ აზრთან მიმართებაში...“

არასამთავრობო ორგანიზაციების დემონიზაციის მიზნით, სარწმუნოებითა და პატრიარქით მანიპულაცია:

- არასამთავრობო ორგანიზაციები, უცხო სახელმწიფოების დახმარებით, აფინანსებენ რადიკალიზმს, ექსტრემიზმს, ებრძვიან საპატრიარქოს, სარწმუნოებასა და ტრადიციებს

არალეგიტიმური პარლამენტის მიერ არჩეულმა არალეგიტიმური საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ ყაველაშვილმა, 16 დეკემბერს ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ „საქართველო თავისი ეროვნული ინტერესების დამცველია მისი ხელისუფლებით“, რაშიც საპატრიარქოს აქვს განსაკუთრებული როლი. მისი თქმით, „გარედან ინსპირირებული“ არასამთავრობო ორგანიზაციები სწორედ ასეთ ძლიერ ინსტიტუტს უპირისპირდებიან და „ურტყამენ“.

წინა პერიოდის მსგავსად, არასამთავრობო ორგანიზაციებს სარწმუნოებასა და მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლაში ადანაშაულებდა თბილისის მერი კახა კალაძე.

კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი, 3 დეკემბერი: „[...] საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არიან ის ქვეყნები, ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ფულს ხარჯავენ მაგალითად იმის გადამზადებაში, რომ ახალგაზრდები იყვნენ რადიკალები, იყვნენ ექსტრემისტული ორგანიზაციების დაფინანსებაში ჩართულები. ჩვენ ვხედავთ, რამხელა შეტევა მიმდინარეობდა ბოლო წლების განმავლობაში ეკლესიაზე, ჩვენს სარწმუნოებაზე, ყველაფრის ფეხქვეშ გათელვა მოინდომეს, რაც ძვირფასი გაგვაჩნია - ჩვენი კულტურა, წარსული, ჩვენი ტრადიციები.“

პრეზიდენტის დისკრედიტაცია ანტიდასავლურ კონტექსტში:

- პრეზიდენტი ზურაბიშვილი შეურაცხყოფს ეკლესიას და იგი მართულია უცხო ძალების მიერ

გურამ მაჭარაშვილი, არალეგიტიმური საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 3 დეკემბერი: [სალომე ზურაბიშვილი] „აყენებს შეურაცხყოფას ჯარს, ეკლესიას, პოლიციელებს, ქართველ ხალხს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ადამიანი ყოველდღე ამტკიცებს იმას, რომ რადიკალური პროცესების უკან, დგას მისი პატრონი უცხოური ძალა“.

პროვერობული აქციების დისკრედიტაცია რელიგიურ კონტექსტში:

- დემონსტრანტები შეურაცხყოფენ ქრისტიანობას

10 დეკემბერს სამთავრობო პროპაგანდისტულმა ტელეკომპანია [იმედმა](#) გაავრცელა ინფორმაცია, რომ 9 დეკემბერს მომიტინგეებმა ქვეყნის მთავარ გამზირზე კუბო მიიტანეს, რომელზეც იესო ქრისტე იყო გამოსახული, პარლამენტის მიმდებარედ საახალწლო ნაძვის ხის წინ ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს. პროპაგანდისტულ მედიას არ უხსენებია ფაქტი, რომ კუბო „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის ფიტულითა და ყვავილებით [დაწვეს](#). ეს პროპაგანდა არალეგიტიმური მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლებმა მშვიდობიანი აქციების დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და მასთან აფილირებული პირები ([მამუკა მდინარაძე](#), [ეკა სეფაშვილი](#), [გიორგი ვოლსკი](#), [რატი იონათამიშვილი](#), [ნინო წილოსანი](#), [გოგა ხაინდრავა](#), [გიორგი ცუცქერიძე](#), [არჩილ გორდულაძე](#)) აღნიშნავენ, რომ კუბოზე გამოსახული იყო „მაცხოვარი,“ „უფალი“ და „ქრისტიანული ღირებულებები.“ მათ დემონსტრანტები წარმოაჩინეს, როგორც ქრისტიანულ ღირებულებებთან მებრძოლი და ანტირელიგიური, ხოლო არალეგიტიმური ხელისუფლება - რელიგიური იდენტობის დამცველი.

- „წითელ ტერორთან“ პარალელები: დემონსტრანტები არიან თანამედროვე ბოლშევიკები, რომლებიც არბევენ ეკლესიას

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა და მათთან აფილირებულმა პოლიტიკოსებმა დეკანოზ შალვა კაკელიასთან დაკავშირებული გაზვიადება/სიცრუის ტირაჟირების კამპანია ეკლესიის სახელით სპეკულაციისა და მშვიდობიანი დემონსტრანტების დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს (ვრცლად, იხილეთ თავი [მართლმადიდებელი ეკლესიითა და რელიგიით მანიპულაცია და სიცრუის ტირაჟირება](#))

- დემონსტრანტი ახალგაზრდების მიზანი არა ევროპული კურსის დაცვა, არამედ სარწმუნოების უფლებებლყოფაა

[თამარ ჩიბურდანიძე](#), პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 1 დეკემბერი: „ვითომ დაკარგული ხმებისთვის და ევროპისთვის „მებრძოლი“ ოპოზიცია ნელ-ნელა რეალურ ზრახვებს აჩენს. ახალგაზრდები ისევ იმ ბანერებით და სლოგანებით გამოვიდნენ, რითაც წინა წლებში. ეს არის რეალური მიზეზი მათი აქციების და არა ვითომ დაკარგული ევროპელობა. „ენა, მამული, ერთობა“ კვლავ ძალაშია და კვლავ

ოპოზიციის აქციების მთავარი სლოგანია. სარწმუნოება უკვე ამოიღეს და შემდეგი, რასაც ამოიღებენ, იქნება „ენა.“

მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა 13 დეკემბერს, [არჩილ გორდუღლაძემ](#), არალეგიტიმური პარლამენტის წევრმა, და აღნიშნა, რომ „ამ ადამიანებს არ აქვთ ეკლესიის პატივისცემა“ და ცრუ ნარატივებით გამოირჩევიან.

საპატრიარქოს პროპაგანდა საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით

მშვიდობიან საპროტესტო აქციებთან და ქართული ოცნების ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით, საკუთარ პოზიციას გამოხატავენ სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლები.

საპატრიარქოსა და საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის გზავნილები პროვეროპულ აქციებზე ძალადობასთან დაკავშირებით:

საპატრიარქოსა და საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, არცერთხელ არ გამოუთქვამთ მკაფიო მხარდაჭერა სამართალდამცავების მიერ ნაცემი ადამიანების მიმართ და ძალადობის დამგმობი ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლებოდნენ. მათი ნარატივები აძლიერებდა არალეგიტიმური ხელისუფლების პროპაგანდას და ქმნიდა ყალბ წარმოდგენას საზოგადოების შიდა დაპირისპირებისა და „ორმხრივი ძალადობის“ შესახებ.

- 29 ნოემბერს [საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა](#) გაიმეორა არალეგიტიმური მთავრობის პროპაგანდა, რომ „საქართველო არ უხვევს ევროპული კურსიდან“, თუმცა „საზოგადოების ნაწილისათვის ეს განმარტებები საკმარისი და დამაჯერებელი არ აღმოჩნდა.“ ასევე მშვიდობიან დემონსტრანტებზე მასობრივი და სასტიკი ძალადობა წარმოაჩინა, როგორც აქციის მონაწილეების მიერ პოლიციასთან დაპირისპირების შედეგი.
- 30 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქომ პროტესტის მონაწილეებს გამოხატვის საზღვრების დაცვისკენ, ხოლო სამართალდამცავებს მეტი „მოთმინებისკენ“ მოუწოდა.
- 8 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ფორმალურად დაგმო ჟურნალისტებზე ძალადობა, თუმცა გაიმეორა „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტული გზავნილები „საზოგადოებრივი დაპირისპირებისა“ და „ორმხრივი ძალადობის“ შესახებ, საზოგადოებას კი მოუწოდა, არ აჰყვნენ „პროვოკაციას“ „ქართულმა ოცნებამ“ TV პირველის ჟურნალისტსა და ოპერატორზე ფიზიკური თავდასხმა სწორედ „პროვოკაციად“ [შეაფასა](#).
- 13 დეკემბერს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის [განცხადება](#) გავრცელდა, რომელიც განზოგადებით გმობდა ძალადობას, მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და ხსენების გარეშე. პატრიარქი აღნიშნავდა, რომ „ყოველი ადამიანი უნდა გაემიჯნოს ძალადობას“, საქართველო ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია და მხარეებს „კონსტრუქციული დიალოგისკენ“ მოუწოდა. პატრიარქმა ხაზი გაუსვა, რომ „ჩვენი ვალია, ხელი შევეწყობთ ტრადიციულ

ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული ტიპის ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებას“.

დემონსტრაციების დისკრედიტაცია ანტიდასავლურ კონტექსტში:

- არჩევანი ევროპასა და ღმერთს შორის უნდა გავაკეთოთ

საპატრიარქოსა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის ანტიდასავლური გზავნილები მცდარი დილემის ტექნიკას შეიცავს და ადამიანებს იდენტობის შენარჩუნებასა და ევროპას შორის არჩევანის წინაშე აყენებს.

იაკობ იაკობაშვილი, ბოდბის მთავარეპისკოპოსი, 15 დეკემბერი: ევროპა მთავარი, თუ ღმერთი და საქართველოა უფრო წინ? გვინდა, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევამაც დაამშვიდოს ქვეყანაში სიტუაცია და ვუსურვებ, რომ ყველას პრეზიდენტი ყოფილიყოს.“

- დასავლეთი დაუძინებელი “მეგობარია” [მტრის კონოტაციით], დემონსტრანტები კი სიძულვილით ზომბირებულები არიან

20 დეკემბერს, ქუთაის-გაენათის ეპარქიის ფეისბუქ გვერდზე, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა, [ილანე გამრეკველმა](#) გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღნიშნა, რომ წინა წლების კრიზისების ფონზე, ქვეყანაში არის „აღორძინება 2013-დან დღემდე“, მიმდინარე პროევროპული აქციების მონაწილეებს „ცილისმწამებლური სიძულვილით ზომბირებული აგრესიული პიროვნებები“ უწოდა, ხოლო საქართველოს დასავლელი პარტნიორი ქვეყნები „დაუძინებელ „მეგობრებად“ მოიხსენია.

- პროტესტი „ანტიქრისტიანული ამბოხია“ და მართულია დასავლეთის მიერ, რომელიც „სოდომის პროპაგანდას“ გვამალავს

ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა, სტეფანე კალაიჯიშვილმა, , 1 და 7 დეკემბრის ქადაგებისას აღნიშნა, რომ მიმდინარე დემონსტრაციები არის „ანტიქრისტიანული ამბოხის თვალსაჩინო მაგალითი,“ დასავლეთი კი „სოდომის პროპაგანდას“ გვამალავს. სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, [სპირიდონ აბულაძემ 4 დეკემბერს](#) კი ქადაგებისას განაცხადა, რომ აქციების სახით საქართველოს არაკეთილმოსურნეებმა უცხოეთის დაფინანსებით პროვოკაცია მოაწყვეს. მათ უნდათ საქართველოში არსებული ხელისუფლების განდევნა და ჩანაცვლება ისეთი ხელისუფლებით, რომელიც მათ მიზნებს შეასრულებს, კერძოდ დააკანონებს „ერთსქესიან ქორწინებას“ და გარყვნილებას. სპირიდონ აბულაძე მსგავს პროპაგანდისტულ ნარატივებს ავრცელებდა 1, 3 და 10 დეკემბრის ქადაგებებისას.

დემონსტრანტების წარმოჩენა ღვთის მგობლობად:

ერთ-ერთ აქციაზე, პერფორმანსის სახით, ბიძინა ივანიშვილის [ფიტულისა და კუბოს](#) დაწვასთან დაკავშირებით, [საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა](#) და სხვა სასულიერო პირებმა განაცხადეს, რომ ეს იყო უკიდურესი სიძულვილის გამოვლინება, ოკულტური რიტუალი, მკრეხელობა და ეშმაკის მსახურება. ისინი მიუთითებდნენ, ტელეკომპანია „იმედის“ სიუჟეტზე, რომ კუბოზე, ერთ ადგილას, იესო ქრისტე იყო ამოტვიფრული. საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს არ უხსენებია, რომ საპროტესტო აქციაზე კუბო სწორედ ბიძინა ივანიშვილის ფიტულითა და ყვავილებით დაწვეს. ამ თემაზე განცხადებები გააკეთეს სხვა მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმაც (*დეკანოზი [ალექსანდრე გალდავა](#), მღვდელი [გიორგი ფუტყარაძე](#), [თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი](#) (ფეისბუქ პოსტი), მღვდელი [სპირიდონ ცქიფურიშვილი](#), [დეკანოზი შალვა კეკელია](#)).*

დემონსტრანტების გაიგივება ბოლშევიკებთან, რომლებიც არბევენ ეკლესიას:

საპატრიარქომ და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილმა დეკანოზ შალვა კეკელიასთან დაკავშირებული გაზვიადება/სიცრუის ტირაჟირების კამპანია ეკლესიის სახელით სპეკულაციისა და მშვიდობიანი დემონსტრანტების დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს და დემონსტრანტები ბოლშევიკებს შეადარეს (ვრცლად, იხილეთ თავი *რელიგიით მანიპულაცია და სიცრუის ტირაჟირება*).

აქციებში მოსწავლეების მონაწილეობასთან დაკავშირებული მანიპულაცია:

მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი აძლიერებს არალეგიტიმური ხელისუფლების პროპაგანდას იმის შესახებ, რომ აქციების „ორგანიზატორები“ თუ პოლიტიკური ჯგუფები სკოლის მოსწავლეებს აძალებენ დემონსტრაციებში მონაწილეობას და მათ ინსტრუმენტალიზებას ცდილობენ, რითაც უნდათ დამაბულობის წახალისება.

[3 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური](#) სალომე ზურაბიშვილის სოციალურ ქსელ „X“-ზე გაკეთებულ [კომენტარს](#) გამოეხმაურა. სალომე ზურაბიშვილმა სკოლებს აქციების სოლიდარობის გამოხატვისკენ მოუწოდა. საპატრიარქომ შეშფოთება გამოხატა ამ მოწოდებაზე, მშვიდობიანი აქციების „დაძაბვის“ პასუხისმგებლობა კი „ორივე მხარეს“ დააკისრა.

აქციებში სკოლებისა და მოსწავლეების მონაწილეობაზე კომენტარები გააკეთეს საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა, [შიო მუჯირმა](#) (4 დეკემბერი) და საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ანდრია ჯაღმაიძემ (3 და 4 დეკემბერი, ფეისბუქ პოსტები). მათ პასუხისმგებლობა დააკისრეს „მავანთ“, რომლებიც „სასკოლო ასაკის ბავშვების“ აქციებში ჩართვას ცდილობენ დამაბულობის შესაქმნელად. ბოდბის მთავარეპისკოპოსმა [იაკობ იაკობაშვილმა](#) კი სალომე ზურაბიშვილის მისამართით განაცხადა: „*სკოლას რომ მოუწოდებ რომ გამოდიო გარეთ [...] დამთავრდა იქ შენი დედობა და ქალობა*“. ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა [საბა გვიგბერიამ](#) ასევე გაიმეორა პროპაგანდისტული ნარატივი, რომ „პატარა ბავშვების ხელით, პოლიტიკოსებს უნდათ თავიანთი მიზნების განხორციელება“.

რელიგიით მანიპულაცია და სიცრუის ტირაჟირება

(„ქართული ოცნება“ და საპარლამენტო უმრავლესობა, საპატრიარქო და სახელისუფლებო პროპაგანდისტული მედია)

ქვემოთ მოცემულია კოორდინირებული პროპაგანდისტული კამპანიის მაგალითი - ფრაგმენტული, გაზვიადებული და უკონტექსტო ინფორმაციის გავრცელებით, როგორ შექმნეს მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილმა, „ქართულმა ოცნებამ“ და მედიამ ნარატივი, თითქოს აქციის მონაწილეები მართლმადიდებელ ეკლესიას ებრძვიან და არბევენ.

13 დეკემბერს, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, პიარისა და მარკეტინგის სპეციალისტების საპროტესტო მსვლელობაზე თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძართან, დეკანოზ შალვა კეკელიასა და აქციის მონაწილეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. ამ ინციდენტის შემდეგ, დეკანოზმა შალვა კეკელიამ [ვიდეომიმართვა](#) გაავრცელა, სადაც ის აცხადებდა, რომ „*გგუფმა ჩამოიარა, ტაძარში მოგვივარდნენ, დამიწყეს ყვირილი – მოლაღატებო, გამოდით! ეკლესიის მტრებო, გამოდით! ეკლესიაში მოგვივარდნენ, კომუნისტების დროს ხდებოდა ეკლესიაში მოვარდნა, მღვდლების ტაძრებიდან გამოყვანა, დახვრეტა... ზუსტად ეგ იყო, დადგნენ ტაძრის წინ და გვედახდნენ, „მოლაღატე, გამოდი!“*

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა, მასთან აფილირებულმა პირებმა, სამთავრობო პროპაგანდისტულმა მედიებმა ([იმედი](#), [რუსთავი 2](#), [პოსტ ტვ](#), [საზოგადოებრივი მაუწყებელი](#)) და სასულიერო პირების ნაწილმა [განზოგადება/გაზვიადების](#) მეთოდით, მომხდარი ინციდენტი და დეკანოზის ვიდეომიმართვა მანიპულაციურად გამოიყენეს. ისინი ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ თითქოს, მარშის მონაწილეები ეკლესიაში შეიჭრნენ და დაარბიეს. ამ განცხადებების შემდეგ, 17 დეკემბერს, დეკანოზმა მის მიერვე გავრცელებული ინფორმაცია უარყო და [„პუბლიკასთან“](#) ინტერვიუში თქვა, რომ **„ეკლესიაში ფიზიკურად არ შემოჭრილან“**.

ცრუ ინფორმაციის ტირაჟირება თავად დეკანოზ შალვა კეკელიას მიმართვას მოჰყვა, როდესაც მან შეგნებულად გააზვიადა მომხდარი ინციდენტი ფრაზებით: „*მოგვივარდნენ“*, „*დამიწყეს ყვირილი“* „*მღვდლების ტაძრებიდან გამოყვანა, დახვრეტა“*. სინამდვილეში, კი გარედან გაგონილი მოწოდებების და რეპლიკების გამო, დეკანოზი და რამდენიმე თანხმლები პირი თვითონ გავიდნენ ქუჩაში. რამდენიმე ადამიანის მიერ შეურაცხმყოფელი განცხადება დეკანოზმა შალვა კეკელიამ მანიპულაციურად განაზოგადა („ეკლესიის, პატრიარქის მაგინებლები“), დააკავშირა მანამდე არსებულ ფაქტებთან და წარმოაჩინა როგორც მხარეებს შორის დაპირისპირება.

სასულიერო პირების მანიპულაციური გზავნილები და სიცრუის ტირაჟირება:

სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელა საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა [ანდრია ჯალმაიძემ](#): „ის რაც დღეს ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ტაძარში მოხდა, თავისი სიმძიმით უტოლდება ეკლესიების დარბევისა და ქრისტიანთა დევნის ისტორიულ მოვლენებს.“


პროპაგანდისტული მედიის² მიერ სიცრუის ტირაჟირება და დემონსტრანტების დისკრედიტაცია:

13 დეკემბერს სახელისუფლებო პროპაგანდისტულმა ტელეკომპანია [იმედმა](#) გაავრცელა ინფორმაცია, რომ საპროტესტო მსვლელობის მონაწილეები სასულიერო პირებს დაუპირისპირდნენ. 15 დეკემბერს კი გადაცემა „იმედის კვირაში“ სპეციალური [სიუჟეტი](#) გავიდა. გადაცემის წამყვანი, ირაკლი ჩიხრაძე აღნიშნულ ინციდენტს დეკანოზის წინააღმდეგ მოწყობილ, კარგად დაგეგმილ პროვოკაციას უწოდებს და ამბობს, რომ დეკანოზს „აქციის მონაწილეები ფიზიკურად გაუსწორდნენ“. ჟურნალისტი ვარლამ წიკლაური კი აღნიშნავს:

„რადიკალები ეკლესიას წლებია, უტევენ და წლებია, ცდილობენ მის დისკრედიტაციას. ის რაც საუკუნეების განმავლობაში ვერ შეძლო ვერცერთმა დამპყრობლებმა საკუთარ თავზე თანამედროვე ბოლშევიკებმა აიღეს.“

ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარში „შეჭრისა და დარბევის“ შესახებ დეზინფორმაციას სახელისუფლებო პროპაგანდისტულმა არხმა POSTV-მ [პოსტერი](#) მიუძღვნა წარწერით „წითელი ტერორი ქართულ ეკლესიაზე“.

² ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა არალეგიტიმური ხელისუფლების ანტიდასავლურ გზავნილებს და ეკლესიის თემით მანიპულირებას აძლიერებს მის მიერ კონტროლირებული პროპაგანდისტული მედია. იგი მრავალი გზით ცდილობს მოახდინოს მშვიდობიანი პროტესტების დისკრედიტაცია, მათ შორის იყენებს რელიგიას და ეკლესიის სახელსაც. მაგალითად, [კუბოს დაწვასთან](#) დაკავშირებით რელიგიური დისკრედიტაციის მსგავსად, 6 დეკემბერს [იმედმა](#) და [პოსტ ტვ-მ](#) ვიდეო გაავრცელეს წარწერით, " მშვიდობიან" აქციაზე გაურკვეველი ჯგუფები იმყოფებიან, რომლებიც „ალლაჰუ აკბარ“-ს სკანდირებენ“ და "მშვიდობიან" აქციებზე რადიკალური რელიგიური ჯგუფები იმყოფებიან".



„ქართული ოცნების“ და მისი სატელიტების მიერ ეკლესიით სპეკულაცია და სიგრუსის ტირაჟირება:

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა და მათთან აფილირებულმა პოლიტიკოსებმა ეს კამპანია ეკლესიის სახელით სპეკულაციისა და მშვიდობიანი დემონსტრანტების დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს.

შალვა პაპუაშვილი, არალეგიტიმური პარლამენტის თავჯდომარე, 13 დეკემბერი: (მან დეკანოზის ვიდეო გაავრცელა პირად ფეისბუქ გვერდზე მინაწერით): „...ზუსტად ასი წლის წინ წმინდა პატრიარქი ამბროსი მეტეხის ციხეში ამგვარი რადიკალიზმისა და აგრესიის გამო ეწამა“.

მამუკა მდინარაძე, არალეგიტიმური საპარლამენტო უმრავლესობის, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, 13 დეკემბერი (მან დეკანოზის ვიდეო გაავრცელა პირად ფეისბუქ გვერდზე მინაწერით): „ვინც ერს ებრძვის, მისთვის ბერთან ბრძოლაც მისაღებია... ამიტომაც ვერ გაიმარჯვებენ! ველარასდროს! ყოველთვის სიმართლე, რწმენა და საქართველო გაიმარჯვებს! ჩემი დიდი პატივისცემა მამა შალვას!“

ნინო წილოსანი, არალეგიტიმური საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 13 დეკემბერი (ფეისბუქ პოსტი): „უსამშობლოები ებრძვიან სამშობლოს, უღმერთოები უვარდებიან ეკლესიას..“

კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი, 13 დეკემბერი: „[...]უმძიმესია საერთოდ სიმუღვილი და მით უფრო სიმუღვილი ეკლესიისა და სასულიერო პირების მიმართ. ამის დამანგრეველი შედეგები ვიცით საბჭოთა წარსულიდან“.

სოზარ სუბარი, პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე, 13 დეკემბერი: „უცხოეთიდან დაფინანსებულმა აგენტურამ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნილაბი და ეკლესიას გამოუცხადა ბრძოლა. ეს ის ბრძოლაა, სადაც აგენტურის ხვედრი წინასწარ არის განსაზღვრული. [...]ჩემი სოლიდარობა მამა შალვა კეკელიას“.

ამ თემაზე იგივე შინაარსის განცხადებები გააკეთეს „ქართული ოცნების“ და „ხალხის ძალის“ წარმომადგენლებმა: გურამ მაჭარაშვილმა, არჩილ გორდულაძემ, თორნიკე ჭეიშვილმა, დიმიტრი ხუნდაძემ, გენო პეტრიაშვილმა.

მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილმა გაავრცელა კრიტიკული განცხადებები „ქართული ოცნების“ ანტიევროპულ კურსზე, დაგმო ძალადობა და რეპრესიები მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ და მათდამი მხარდაჭერა გამოხატა.

ძალადობის დაგმობა და პროევროპული კურსის მხარდაჭერა:

მელქისედეკ ხაჩიძე, მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი, 30 ნოემბერი (ფეისბუქ პოსტი): „დღეს, ეს თავისუფალი, ლალი, გულლია და ბედნიერი ახალგაზრდობა, ქართულ საზოგადოებასთან ერთად, უშიშრად აცხადებს, რომ სურს საქართველო, თავისი დიდებული წარსულით, კულტურითა და მემკვიდრეობით ქრისტიანული ევროპის სრულფასოვანი წევრი იყოს. არ გვაქვს ამ არაჩვეულებრივი ხალხისა და მათი თავისუფალი არჩევანის დაზიანების უფლება. ჩვენ არ გვაქვს კონსტიტუციით დადგენილი პოლიტიკური კურსის ცვლილების უფლება. მტკივა ქართველი ახალგაზრდების წინააღმდეგ მოქმედი ხელი, მეწვის ცრემლსადენი გაზის გამო დახუჭული თვალები, მცირე ნომბრის სუსხიან ღამით გაყინულ სხეულზე და მეშინია მომავლის დაკარგვის...“

ბელგისა და ჰოლანდიის ეპარქია, კომუნიკე, 2 დეკემბერი: „ის, რაც გასულ დღეებში ვიხილეთ, ძალადობრივი ფაქტები, თუ როგორი სიძულვილით უსწორდებიან ძალოვანი სტრუქტურების კონტროლდაკარგული თანამშრომლები ახალგაზრდებს, როგორი გავრცელებით ურტყამს სახეში წაქცეულ მანიფესტანტს და პირდაპირი მნიშვნელობით „ძვლებში ამტვრევს“ მას სამართალდამცავი, იძულებულს გვხდის არამხოლოდ ადვასრულოთ საეკლესიო წესები და ვილოცოთ ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის, არამედ წმინდა ქრისტიანული და ადამიანური ეთიკის ერთგულების გამო ჩვენი ტკივილიც საჯაროდ გავაზიაროთ საქართველოში მიმდინარე პროცესის შესახებ[...] მმართველი პარტია კონსტიტუციური ნორმების საკუთარ თავზე მომრგებად წარმოჩნდება და დაანონსებული ღირებულებებისადმი ერთგულება მხოლოდ სიტყვებად დარჩა.“

დეკანოზი ზაზა თევზაძე, 6 დეკემბერი (აქციაზე): "ერთადერთი, რაც გვაქვს, ჩვენი მომავალია... ფაქტობრივად, ჩვენი განადგურება იწყება და ამას ყველა კარგად იაზრებს, ამიტომ დგას ამ ყინვაში ამდენი ხალხი."

ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტი გრიგოლ ბერბიჭაშვილი, 9 დეკემბერი, საკვირაო წირვაზე: „დღეს, როცა ჩვენ ვხედავთ მოქალაქეების სასტიკად ნაგვემ მდგომარეობას, უნდა ვაღიაროთ, რომ, ფაქტობრივად, დღეს გალახულია მთელი საქართველო, მიუხედავად იმისა, ვინ სად დგას. თავისუფალ მოქალაქეებზე ამ მასშტაბის ძალადობა და მისი ახალ-ახალი გამოვლინება, გვაბრუნებს ბნელ წარსულში, რაც იმის ნიშანია, რომ თუ ამას წერტილი არ დაესვა, წინ მძიმე დრო ელის როგორც ქვეყანას, ისე მთელ საზოგადოებას“.

დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი, ზენონ იარაჯული, 12 დეკემბერი, (გვისბუქი) „თავისუფლება და სოლიდარობა საქართველოს ერთგულებისთვის, საქართველოს სიყვარულისთვის, სიცოცხლისა და ბედნიერების უფლებისთვის, თავისუფლებისა და სამართლიანობის ძიებისთვის ნაიარევ და რეპრესირებულ თანამოქალაქეებს.“

დღორთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 15 დეკემბერი (ქადაგება): „დღეს არ შეიძლება იმის თქმა, რომ ორივე მხარეს ჩვენი შვილი დგას. არაა ეკლესიის შვილი ის, ვინც კლავს, ვინც სცემს და ცრუმოწმეა. ეკლესიის შვილი ისაა, ვინც სიმართლისთვის იბრძვის, თუნდაც ჯანმრთელობის ხარჯზე“.

დემონსტრანტების მხარდამჭერი და ძალადობის დამგმობი განცხადებები ასევე გაავრცელეს დმანისისა და აგარაკ-ტაშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოსმა ზენონ იარაჯულმა (29 ნოემბერი, 5 დეკემბერი), სურამის და ხაშურის ეპისკოპოსმა, სვიმეონ ცაკაშვილმა (1 დეკემბერი), ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსმა, საბა ინწვირველმა, (29 ნოემბერი, 16 დეკემბერი), მღვდელმა, ლევან გელოვანმა (1 დეკემბერი), მღვდელმა, ივრონიმე ქათამაძემ (6 დეკემბერი), ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდელმა, კირიონ უგრეხელიძემ (9 დეკემბერი).

განცხადებები რელიგიური მანიპულაციის წინააღმდეგ:

მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილმა კრიტიკულად შეაფასა რელიგიის სახელით პროპაგანდა და მანიპულაცია, მათ შორის თავად მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან.

დეკანოზი ზაზა თევზაძე, 14 დეკემბერი, პირველი არხის საგანგებო ეთერის სტუმარი: „მე ისეთი ფრაზები მოვისმინე, რომელიც სასულიერო პირმა ნამდვილად არ უნდა წარმოთქვას და თუ ვინმეს აქვს თმენის ვალდებულება სასულიეროთაგან აქვთ, იმიტომ რომ ის მისი მოძღვრის მაგალითებით, ანუ იესო ქრისტეს მაგალითებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ქრისტე არის თავდადება, თავგანწირვა, მშვიდობა, სიყვარული“.

ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 15 დეკემბერი (ფეისბუქ პოსტი): „მაგრამ, როცა ადამიანები ეკლესიას საკუთარი უზნეობის ნიღბად იყენებენ, ეს არა მხოლოდ ცოდვაა, არამედ ღვთის სახელის შეურაცხყოფა. ეკლესია არ არის ადგილი, სადაც პირადი მიზნები იმალება, არამედ ჭეშმარიტებისა და სინანულის სივრცეა. ვინც რელიგიას მანიპულაციის იარაღად აქცევს, ის არ ასრულებს ქრისტეს მოწოდებას, არამედ ეწინააღმდეგება მის ნებას.“

შო კვარაცხელია, თბილისის სამების ტაძრის არქიმანდრიტი, 15 დეკემბერი (ქადაგება): „ზოგიერთი საკუთარ ზოოპარკზე და ხეებზე უფრო მეტად ზრუნავს ვიდრე მშვიერ მოსახლეობაზე, სხვისა და ახალგაზრდების საჭიროებაზე. ღმერთს არ მოსწონს მატყუარა მღვდელი, რომელიც მამლის ყივილსაც კი ასწრებს საკუთარი ნათქვამის შეცვლას და გადათქმას. მღვდლის მარჯვენა უნდა ლოცავდეს და აკურთხებდეს, კი არ უნდა წყევლიდეს და ანტიქრისტეებს კი არ უნდა ეძახდეს ახალგაზრდობას. სამარცხვინოა, როცა სიმართლე შენს ხმას მოითხოვს და შენ დუმხარ.“

არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციების, სასულიერო პირებისა და ეთნიკური ჯგუფების განცხადებები აქციებთან დაკავშირებით

1 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული [რელიგიათა საბჭოს](#) წევრებმა განცხადება გაავრცელეს. მათ დაგმეს დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობა და ყურადღება გაამახვილეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ევროინტეგრაციის მნიშვნელობაზე.

სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირებმა [7 დეკემბერს](#) დემონსტრანტებზე ძალადობის წინააღმდეგ და ნაცემ-ნაწამები ადამიანების მხარდასაჭერად მსვლელობა გამართეს.



ფოტოს ავტორი: ხატია-ჯუდა ფსუტური

7 დეკემბერი, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა მარში რუსთაველზე

(იხ. რამდენიმე ციტატა სხვადასხვა რელიგიური ლიდერის მიერ გავრცელებული განცხადებებიდან).

მაღხაზ სონდულაშვილი, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მიტროპოლიტი: „ჩვენ სოლიდარობას გამოვხატავთ იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც სცემეს, აწამეს ჩვენს ქალაქში და ეს ყველას სირცხვილია - თქვენი სირცხვილია, ჩვენი სირცხვილია, ჩვენი სამშობლოს სირცხვილია.“

რუსუდან გოცირიძე, საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი, 7 დეკემბერი: „ნუ იქნებით დაუნდობლები, ნუ იქნებით საშიშები ჩვენი მომავალი თაობისათვის. ერთად გვაქვს ასაშენებელი ეს ნახევრად ჩამონგრეული ქვეყანა. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და გავუფრთხილდეთ ამ ქვეყნის მომავალს“.

ზაალ ტყემელაშვილი, ევანგელისტური ეკლესიის პასტორი, 7 დეკემბერი: „ჩვენ გვაქვს განსხვავებული ბევრი რამ შეხედულებები, თეოლოგია, ფილოსოფია, რწმენა მაგრამ დღევანდელ დღეს ჩვენ გადავწყვიტეთ რომ ვიდგეთ ერთად, იმიტომ რომ სასწორზე დგას ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არის მომავალი ჩვენი ქვეყნის. იმიტომ რომ თუ ჩვენ არ გვექნება თავისუფლება, თუ ჩვენ არ გვექნება სიტყვის თავისუფლება და რწმენის თავისუფლება, მაშინ ჩვენ ხელმძღვანელობასაც, ჩვენს რელიგიურ ლიდერობასაც აზრი ეკარგება“.

მამუკა ნაკაიძე, ბათუმის “თავისუფლების მეჩეთის” იმამი, 7 დეკემბერი: „ჩვენ ყველანი ამქვეყნის შვილები ვართ, ყველანი ქართველები ვართ და ყველას გვინდა რომ ჩვენი ქვეყანა იყოს განვითარებული და გაერთიანებული. ამიტომ ძალიან გთხოვთ, ნუ, შევეცადოთ, რომ არ ვიძალადოთ იმ ახალგაზრდობაზე, რომლებიც თავის მომავლისთვის თავს წირავენ, თავის მომავალს იცავენ და საქართველოს სადარაჯოზე დგანან.“

25 დეკემბერს თბილისში, „ერთიანობის მარში“ გაიმართა, რომელშიც ქართველი აზერბაიჯანელები, სომხები, ებრაელები, ქისტები, ქურთები, და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მარშის ბოლოს პარლამენტთან აქციის მონაწილეებმა ებრაელ თემთან ერთად ხანუქას დღესასწაული აღნიშნეს.



ფოტოს ავტორი: გურამ მურადოვი